



GEO RECYCLING LTD

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

შ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი“-ს დირექტორის სალომე ქათამაძის

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ ჩვენს საკუთრებაში მყოფი ობიექტის და არსებული ნაგებობების ფართი, ასევე ტექნიკური მდგომარეობა (იხ. დანართი გვ. 1, 2, 3, 4, 5) იძლევა საშუალებას ობიექტი გამოყენებული იქნას ვადაგასული, ამორტირებული აკუმულატორების შეგროვება - დასაწყობებისათვის და საჭირო რაოდენობის შეგროვების შემდეგ განზრახული გვაქვს მათი სრული დაცლა თხევადი ელექტროლიტის ნარჩენებისგან, გასუფთავება სპეციალური ჰერმეტიკული შეფუთვა - ტარირება და შესაბამისი ტრანსპორტით გატანა საზღვარგარეთ. ყველა ზემოაღნიშნული ოპერაცია შესრულდება ბაზელის კონვენციის და სხვა საერთაშორისო ნორმატივების სრული დაცვით. ასევე განზრახული გვაქვს არასახიფათო ნარჩენების (მეორადი ნედლეულის), ფერადი და შავი ლითონების ჯართის შეგროვება დასაწყობება.

ვინაიდან ზემოაღნიშნული საქმიანობა (ვადაგასული ამორტირებული აკუმულატორების შეგროვება) განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოგიდგინთ სკრინინგის განცხადებას თანდართულ სკრინინგის ანგარიშთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: სკრინინგის ანგარიში 12 გვერდზე

პატივისცემით

შ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი“-ს დირექტორი *ს. ქათამაძე*

/სალომე ქათამაძე/



საიდენტიფიკაციო კოდი: 437058773

მისამართი: ციხისძირის ქ.63

თბილისი, საქართველო

მობ: (995) 93 52 93 93

ელ.ფოსტა: georecyclingltd@gmail.com

შ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი“
ფერადი მეტალების ნარჩენების მიმღები სანყოფი

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი: შ.პ.ს. „გარემოს დაცვის ლაბორატორია“ (გდლ)

მთავარი ინჟინერი /ვ. ჩანგაშვილი/

თბილისი
2019 წ.

ზოგადი ინფორმაცია

ძირითადი მონაცემები საწარმოს ფუნქციონირების შესახებ

შ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი“ დაგეგმილი აქვს აწარმოოს:

	ობიექტის დასახელება	შ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი“
1	ობიექტის მისამართი:	
2	ფაქტური	ციხისძირის ქუჩა #63, ისანი-სამგორის რაიონი, თბილისი
3	იურიდიული	საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, III დოლაბაურის ხევი, #11 ა
4	საიდენტიფიკაციო კოდი	437058773
5	GPS კოორდინატები	X= Y=
6	ობიექტის ხელმძღვანელი:	
7	გვარი, სახელი	სალომე ქათამაძე
8	ტელეფონი	+995 593529393
9	ელ-ფოსტა	georecyclingltd@gmail.com
10	მანძილი ობიექტის საზღვრიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	
11	ეკონომიკური საქმიანობის სახე	<p>1) სახიფათო ნარჩენების, კერძოდ ვადაგასული აკუმულიატორების მიღება-დასაწყობება და მომზადება ტრანსსასაზღვრო ტრანსპორტირებისათვის. ბაზელის კონვენციის და შესაბამისი ნორმატივების სრული დაცვით</p> <p>2) ფერადი და შავი ლითონების ჯართის მიღება-დასაწყობება - (არასახიფათო ნარჩენები) მომზადება ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისათვის:</p> <p>2.1. ალუმინი;</p> <p>2.2. სპილენძი;</p> <p>2.3. ცინკი;</p> <p>2.4. ტყვია;</p> <p>2.5. თითბერი;</p> <p>2.6. უჟანგავი ფოლადი</p> <p>2.7. შავი ლითონების ჯართი</p>
12	გადასატანი (ტრანსპორტირებადი) პროდუქციის დასახელება	<p>1) მომზადებული, გასუფთავებული, შეფუთული, ტარირებული ვადაგასული, ამორტირებული აკუმულიატორები - სახიფათო ნარჩენები.</p> <p>2) ფერადი ლითონების ჯართის მიღება-დასაწყობება - (არასახიფათო ნარჩენები) მომზადება ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისათვის:</p> <p>2.1. ალუმინი;</p> <p>2.2. სპილენძი;</p> <p>2.3. ცინკი;</p>

		2.4. ტყვია; 2.5. თითბერი; 2.6. უჟანგავი ფოლადი 2.7. შავი ლითონების ჯართი
13	საპროექტო წარმადობა	1) ტყვიის აკუმულატორები - მიღება - დამუშავება 1000 ტ/წელ. 2) ფერადი ლითონები: 2.1. ალუმინი - 2000 ტ/წელ 2.2. სპილენძი - 500 ტ/წელ 2.3. ცინკი - 100 ტ/წელ 2.4. ტყვია - 100 ტ/წელ 2.5. თითბერი - 200 ტ/წელ 2.6. უჟანგავი ფოლადი - 100 ტ/წელ 2.7. შავი ლითონების ჯართი - 1000 ტ/წელი
14	მოხმარებული ნედლეულის სახეობა და რაოდენობა	-
15	მოხმარებული საწვავის სახეობა და რაოდენობა	დიზელის საწვავი, ბენზინი ~ 2000 ლ
16	სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	262 დღე/წელ.
17	სამუშაო საათების რაოდენობა დღეში	8 სთ/ცვლა. 2 ცვლა.

პატივისცემით

შ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი“-ს დირექტორი

/სალომე ქათამაძე/

საქმიანობის განხორციელების ძირითადი პროცესი ფაქტიურად შედგება

1. ვადაგასული ამორტირებული აკუმულატორების შეგროვება - დასაწყობება.

2. ტრანსპორტირებისათვის მომზადება:

- ა) ელექტროლიტის ნარჩენებისგან დაცლა;
- ბ) ზედაპირის გასუფთავება - შეფუთვა;
- გ) ტარირება;
- დ) პროდუქციის გასაცემ საწყობში დასაწყობება;
- ე) ტრანსპორტში ჩატვირთვა;

3) ტრანსსასაზღვრო ტრანსპორტირება დამკვეთამდე ბაზელისა და სხვა საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნათა სრული დაცვით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვის შეფასების კოდექსის“ II დანართის 10.4 პუნქტით და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად სკრინინგის ანგარიშში წარმოგიდგენთ ობიექტისა და ტექნოლოგიის აღწერილობას.

საკადასტრო გეგმაზე ლიტ. 01/1 ნაგებობის იატაკი დაიფარება სითხეგაუმტარი საფარით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სითხეების და ჩასარეცხი წყლების შემკრები სისტემით, რომელთა მეშვეობით ტექნოლოგიური და გასარეცხი წყლები გადაეცემა ნარეცხი და ტექნოლოგიური წყლების შემკრებ და გამწმენდ მოწყობილობას, სადაც მოხდება მყარი ნაწილაკების დალექვა, წყლების განწმენდა და pH - რეგულაცია წყალკანალის ტექნიკური პირობების მიხედვით, რადგანაც ობიექტი მდებარეობს ქალაქის წყალკანალის მიერ კანალიზებად ტერიტორიაზე.

ტექნიკური პირობების მიხედვით განწმენდილი წყლები გადაეცემა წყალკანალის მიერ გამოყოფილ მიმღებ ჭებს და ჩაეშვება სანიაღვრე და ტექნოლოგიური წყლების კანალიზაციაში. ნაგებობის შიგნით მოწყობა სტელაჟები აკუმულატორების ეტაპობრივი მომზადების, კერძოდ მუავის ნარჩენების გამოშვების, გარსაცმის გასუფთავების, ჰერმეტიკული შეფუთვის და ტარირების ოპერაციებისთვის. სასაწყობე ნაწილში მოწყობა იატაკის სპეციალური, სითხეგაუმტარი ფენა შემოტანილი აკუმულატორების დასაწყობებისთვის. დასაწყობების მაქსიმალური სიმაღლე 2,5 მეტრი.

მომზადებული, ტარირებული პროდუქცია გადაეცემა მზა პროდუქციის სასაწყობე მოედანს, სადაც მხდება მისი ჩატვირთვა ტრანსპორტში. ტრანსპორტირება მოხდება ძირითადად ავტოტრანსპორტით ან ავტოტრანსპორტით რკინიგზის ჩასატვირთ ბაქნამდე. ყველა სატრანსპორტო საშუალება, რომელიც შეასრულებს გადაზიდვის ოპერაციებს უზრუნველყოფილი იქნება ტვირთის სრული იზოლირებით გარემოსგან და თავად ტრანსპორტირება შესრულდება უფლებამოსილი ორგანიზაციების მიერ.

სასაწყობე და მოსამზადებელი უბნები აღჭურვილი იქნება გამომწვევული ელექტროლიტის და ჩასარეცხი წყლების შემკრები რეზერვუარებით, რომლებიდანაც შეგროვილი წყლები შიდასამოედნო კანალიზაციის საშუალებით გადაეცემა სანიაღვრე და ტექნოლოგიური წყლების შემკრებ და გამწმენდ ნაგებობას.

თავად სამრეწველო მოედანი უზრუნველყოფილი იქნება სანიაღვრე და სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის სისტემებით.

სასაწყობე და მოსამზადებელი უბნებზე დაგეგმარდება საერთო მოდინებითი და გამწოვი ვენტილაცია. წინასწარი გაანგარიშებით დადგენილია, რომ სამუშაო ზონაში გამოყოფილ მავნეობათა გამონათფრქვევების რაოდენობითი და თვისებითი შემადგენლობა იქნება უმნიშვნელო და მინიმალური, ამიტომ გამონათფრქვევების ატმოსფერულ ჰაერში გაბნევისას სამრეწველო მოედნის საზღვარზე გამოთრქვეულ ნივთიერებათა კონცენტრაციები ნაკლები იქნება ზ.დ.კ.-ზე. გენგეგმაზე დატანილი გამოთრქვევის წყაროები გ-1÷გ-7 და არაორგანიზებული გამოთრქვევის წყაროები გ-501÷გ-502 ძირითადად შეასრულებენ ზედა ზონის ვენტილირებას და გამოათრქვევენ მინიმალურ კონცენტრაციებს.

ხმაურის და ვიბრაციის ემისიები ობიექტზე მინიმუმადე იქნება დაყვანილი ერთი მარტივი მიზეზის გამო - ტექნოლოგიური მოწყობილობის სიმცირე და კონსტრუქციული მაჩვენებლები გამორიცხავს რაიმე მნიშვნელოვანი ხმაურს ან ვიბრაციას.

აკუმულატორების მიღება - მომზადება - ტარირების და ტრანსპორტირების მოსალოდნელი ინტენსივობის და არსებული მუშა ფართის გათვალისწინებით ობიექტის მაქსიმალური დაგეგმილი წარმადობა იქნება 1000 ტ/წელ.

ობიექტი უზრუნველყოფილი იქნება:

1. საოფისე ნაგებობით ლიტ. 03/1
2. ძირითადი სასაწყობე - სანარმოო ნაგებობით ლიტ. 01/1

აღნიშნული ნაგებობები ფაქტიურად არსებულია (იხ. გენგეგმა, დანართი გვ.1)

3. ასევე მომზადდება: მომსახურე პერსონალის გასახდელი, დასასვენებელი და სასადილო ოთახები, სან. კვანძი და საშხაპე თითოეული 3 სველი წერტილით.
4. წყვეტილი ხაზით შემოხაზულ ფართზე პერსპექტივაში განზრახულია გაფართოებისა და სრულყოფის მიზნით იგივე სასაწყობე ნაგებობის მშენებლობა და მოწყობა.
5. მოეწყობა ავტოსადგომი სატვირთო და სამგზავრო ტრანსპორტისთვის ლიტ.. 06/01
6. პერსონალის დასასვენებელი ადგილი ლიტ. 07/01
7. სატვირთო მოძრავი ტექნიკის სადგომი ლიტ.08/01

ასევე მოეწყობა შიდასამოედნო გზები, ობიექტის პერიმეტრის ტექნიკური გამწვანება და სამრეწველო მოედნის ფართის სპეციალური დაფარვა.

მოსალოდნელი საშტატო განრიგი

#	თანამდებობის დასახელება	რაოდენობა
1.	ხელმძღვანელი	1
2.	მოადგილე	1
3.	ბუღალტერი	1
4.	ენერგომექანიკური ჯგუფი	2
5.	სატვირთო ტექნიკის მძღოლი	2
6.	მუშა	10
7.	დარაჯი	3
8.	სულ მომუშავეთა რაოდენობა	20 კაცი

ცვლათა რაოდენობა - 2

ცვლის ხანგრძლივობა - 8 საათი

სამუშაო დღეთა რაოდენობა - 262 დღე/წელ.

ნაგებობათა ტექნოლოგიური მომზადების, მოწყობილობის საკანალიზაციო - წყალმორაგება - კანალიზების, სისტემების აირმომარაგება - ვენტილაციის სისტემების მონტაჟისათვის განსაზღვრულია 5 თვის ვადა.

შიდასამოედნო სამუშაოები: შიდასამოედნო გზები და მოედნები, საყოფაცხოვრებო ნაგებობები, ჩაშვების წყალკანალთან შეთანხმება - ვადა 5 თვე.

სულ მშენებლობა მონტაჟისა და გაშვებისთვის განსაზღვრულია 8 თვე. იმ ფაქტორის გათვალისწინებით რომ უმეტესწილად ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები.

როგორც აღინიშნა მომართვის ტექსტში ობიექტი და საქმიანობა განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.4 პუნქტით და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად გ.გ.შ.-ს მომზადების აუცილებლობას. გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ დასაბუთება, რომლის განხილვის საფუძველზე მიღებული იქნება შესაბამისი კანონისმიერი გადანაცვლებები.

პატივისცემით

მ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი“-ს დირექტორი

/სალომე ქათამაძე/



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.17.11.013.008**

ნაკვეთის დანიშნულება:


არასასოფლო სამეურნეო

განცხადების ნომერი: **892018765753**


ფართობი:

1330 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

მომზადების თარიღი: **03/09/2018**



05/25	მშენებარე ნაგებობა	05/25	შენობა/ნაგებობა		ტყის ფონდი
	ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		სამომრივი ნაგებობა		ვალდებულება



N	ნაგებობის ნომერი	დასახელება	ფართი	შენიშვნა
1	01/01	გადახურული ფარდული 3 კედლით	18X8=144მ ²	ნაგებობას მიმატებული აქვს სიგრძეში 2 მეტრი 8X2=16მ ² მთლიანად ნაგებობის ფართი 160მ ²
2	02/01	სადარაჯო	3X2.5=7.5მ ²	არსებული ნაგებობა
3	03/01	ოფისი	3X3=30მ ²	არსებული ნაგებობა
4	04/01	საწყობი		დაუმთავრებელი მშენებლობა
5	05/01	საშხაპე და ტუალეტი	8X5=40მ ²	არსებული სარემონტო ნაგებობა
6	06/01	ავტოსადგომი		25X4.20
7	07/01	ავტოსადგომი		13.93X4.20
8	08/01	ფარდული		
9	09/01	ფარდული		

შპს „საქსტელკომ“ საინჟინერო-კონსტრუქციული და პროექტირების კომპანია				შპს „ქ ეო გავადაგეგმვა“			
შპს „საქსტელკომ“ საინჟინერო-კონსტრუქციული და პროექტირების კომპანია	თბილისი მ.			შპს „ქ ეო გავადაგეგმვა“			
შპს „საქსტელკომ“ საინჟინერო-კონსტრუქციული და პროექტირების კომპანია	პროექტირების კ.			შპს „ქ ეო გავადაგეგმვა“			
შპს „საქსტელკომ“ საინჟინერო-კონსტრუქციული და პროექტირების კომპანია	გეგმვის კ.			შპს „ქ ეო გავადაგეგმვა“			
				შპს „ქ ეო გავადაგეგმვა“			
				შპს „ქ ეო გავადაგეგმვა“			
				შპს „ქ ეო გავადაგეგმვა“			
				შპს „ქ ეო გავადაგეგმვა“			
				შპს „ქ ეო გავადაგეგმვა“			
				შპს „ქ ეო გავადაგეგმვა“			



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18087388, 17/08/2018 10:21:49

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს ჯეო გადამამუშავებელი
სამართლებრივი ფორმა: შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 437058773
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 04/05/2011
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, III დოლაბაურის ხევი, № 11ა

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: georecyclingltd@gmail.com
 დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი - 47001036874, სალომე ქათამაძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01097000694, ერვინდ კუმარ შარმა, ინდოეთი		100%

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

-
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
 - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
 - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
 - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
 - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
 - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



შპს მუშაობს სახლის რევიზიის

488004.68739, 4613983.68573 გეოგრაფიული მდებარეობა = 1 : 2.5K

